ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 9-39

"8" მაისი 2017 წ

ქ. თბილისი

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შეტანილი იქნას ცვლილება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 06/01/2015, სარეგისტრაციო კოდი: 010260030.35.101.016099) და დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი - რუკა (ფუნქციური ზონები) ჩამოყალიბდეს თანდართული სახით (თან ერთვის ცვლილების საინფორმაციო მასალა).

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
№04/4603-13
15.05.2017
თბილისი 0160, ქ. ჭავჭავაძის ქ. №7

1:30,000


1
2
3
4
5
6



არსებული ფუნქციური ზონის კონტური



კორექტირებული ფუნქციური ზონის კონტური

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)(არსებული ზონა 1300 კვ.მ.)

სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2)(კორექტირებული ზონა 1300 კვ.მ.)

1. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, კახეთის გზატკეცილზე, ისნის ბაზრობის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:#01.17.09.067.005), (1300კვ.მ.) დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-სა და სატრანსპორტო ზონა 2-ს შორის.

სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება სატრანსპორტო ზონა 2-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო"" 31.03.2017 წლის ოქმი #13), განმცხადებელი.: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო.

AR1488808.



არსებული ფუნქციური ზონის კონტური



კორექტირებული ფუნქციური ზონის კონტური

სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1)(არსებული ზონა 3987 კვ.მ.)

სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)(კორექტირებული ზონა 3987 კვ.მ.)

2. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ლილოს დასახლებაში, კახეთის გზატკრცილზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.15.008.064), (3987კვ.მ.) დაზუსტდეს კონტური სარეკრეაციო ზონა 1-სა და სარეკრეაციო ზონა 2-ს შორის.

სარეკრეაციო ზონა 1 იცვლება სარეკრეაციო ზონა 2-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო" 23.03.2017 წლის ოქმი #12), განმცხადებელი.: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო.

AR1488811.



არსებული ფუნქციური ზონის კონტური



კორექტირებული ფუნქციური ზონის კონტური

ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ)(არსებული ზონა 849 კვ.მ.)

სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)(კორექტირებული ზონა 849 კვ.მ.)

3. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.09.008.326-ის ნაწილზე), (849კვ.მ.) დაზუსტდეს კონტური ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონასა და სარეკრეაციო ზონა 2-ს შორის.

ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა იცვლება სარეკრეაციო ზონა 2-ით (“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო” 23.03.2017 წლის ოქმი #12), განმცხადებელი.: ზ.ზაზაშვილი.

AR1488458.



არსებული ფუნქციური ზონის პონტური



პორექტირებული ფუნქციური ზონის პონტური

- სარეკრეაციო ზონა 2 (რზ -2) (არსებული ზონა 1444 კვ.მ.)
- სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ -1) (არსებული ზონა 32 კვ.მ.)
- საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) (პორექტირებული ზონა 1476 კვ.მ.)

4. ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოსტავას ქ. N59-ში, კოსტავას ქ. N 41-სა და 59-ს შორის ბოცვაძის N 2-ში, კოსტავას ქ. N 41-ში, კოსტავას ქ. N59-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.03.004.075), (1476 კვ.მ.) დაზუსტდეს კონტური სარეკრეაციო ზონა 2-ს, სატრანსპორტო ზონა 1-სა და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ს შორის.

სარეკრეაციო ზონა 2 და სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით, ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 2017 16.03.2017 წლის ოქმი #11), განმცხადებელი.: ნ.გულდამაშვილი

AR1486218.



არსებული ფუნქციური ზონის პონტური



კორექტირებული ფუნქციური ზონის პონტური

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) (არსებული ზონა 335კვ.მ.)

სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) (არსებული ზონა 189 კვ.მ.)

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) (კორექტირებული ზონა 524 კვ.მ.)

5. ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, შავთელის ქ. #17-ში, შავთელის ქ. #17ა-ში, შავთელის ქუჩის მიმდებარედ, შავთელის ქ. #13, #15, შავთელის ქუჩა #13-ში მდებარე სასტუმრო „ამბასადორი"-ს მიმდებარედ, არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: ##01.18.03.015.005, 01.18.03.015.006, 01.18.03.015.009, 01.18.03.015.022), (524 კვ.მ.) დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-ს, სარეკრეაციო ზონა 1-სა და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ს შორის.

სატრანსპორტო ზონა 1 და სარეკრეაციო ზონა 1 იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით, ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 2017 02.03.2017 წლის ოქმი #9), განმცხადებელი: დ. შველიძე

AR1483135



არსებული ფუნქციური ზონის კონტური



კორექტირებული ფუნქციური ზონის კონტური

- საცხოვრებელი ზონა (სზ) (არსებული ზონა 4560 კვ.მ.)
- საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) (კორექტირებული ზონა 3055 კვ.მ.)
- საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5) (კორექტირებული ზონა 1363 კვ.მ.)
- სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) (კორექტირებული ზონა 142 კვ.მ.)
- სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) (არსებული ზონა 18 კვ.მ.)
- საცხოვრებელი ზონა 5(სზ-5) (კორექტირებული ზონა 18 კვ.მ.)

6. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, შატბერაშვილის ქ. #56-ში, შატბერაშვილის ქ. #52-ში, შატბერაშვილის ქ. #54ა-ს მიმდებარედ, შატბერაშვილის ქ. #54ა-ში, შატბერაშვილის ქ. #52-ის მომიჯნავე ტერიტორიაზე, შატბერაშვილის ქ. #50-ში, არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: ##01.14.11.065.066, 01.14.11.065.077, 01.14.11.065.079, 01.14.11.065.009, 01.14.11.065.010, 01.14.11.065.010, 01.14.11.065.011, 01.14.11.065.012), (4578 კვ.მ.) დაზუსტდეს კონტური ზოგად საცხოვრებელ ზონას,საცხოვრებელ ზონა 6-ს, საცხოვრებელ ზონა 5-ს და სატრანსპორტო ზონა 1-ს შორის.

ზოგადი საცხოვრებელი ზონა იცვლება საცხოვრებელი ზონა 6-ით, საცხოვრებელი ზონა 5-ითა და სატრანსპორტო ზონა 1-ით, სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება საცხოვრებელი ზონა 5-ით, ("ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 2016 20.10.2016 წლის ოქმი #52), გამცხადებელი: მ. სხირტლაძე.

AR1449535.



არსებული ფუნქციური ზონის პონტური



პორექტირებული ფუნქციური ზონის პონტური

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) (არსებული ზონა 1601 კვ.მ.)

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სსზ-3) (პორექტირებული ზონა 1601 კვ.მ.)

7. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, თამარაშვილის ქ. N4ა-ში, N10ა-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.14.03.042.208), (1601 კვ.მ.) დაზუსტდეს კონტური საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-სა და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ს შორის.

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ით, ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 2017 23.02.2017 წლის ოქმი #8), განმცხადებელი: ლ.კალმახელიძე

AR1480603.



არსებული ფუნქციური ზონის პოლიგონი



პორექტირებული ფუნქციური ზონის პოლიგონი

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) (არსებული ზონა 1707 კვ.მ.)

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სსზ-3) (პორექტირებული ზონა 1707 კვ.მ.)

8. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, გაგარინის ქუჩა #10-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.10.18.001.015), (1707 კვ.მ.) დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-სა და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ს შორის.

სატრანსპორტო ზონა 1იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ით, ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 2017 01.12.2016 წლის ოქმი #58), განმცხადებელი.: პ.ნუცუბიძე

AR1459581.

თბილისის არქიტექტურა

ზონალური საბჭოს გადაწყვეტილება

დოკუმენტი №2968593

განაცხადი №AR1459581

თარიღი : 28.11.2016

განმცხადებელი: პაატა ნუცუბიძე პ/ნ: 01005013245

ობიექტის მისამართი: ქალაქი თბილისი , გაგარინის ქუჩა N 10;

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ფუნქციური ზონის ცვლილება

კომისიის წევრი: თანხმობა

- -

კომისიის წევრი: თანხმობა

- -

კომისიის წევრი: თანხმობა

- -

კომისიის წევრი: თანხმობა

- -

კომისიის წევრი: თანხმობა

- -

კომისიის წევრი: თანხმობა

- -

კომისიის წევრი: თანხმობა

• -

განაცხადზე კომისიის/საბჭოს შეფასება "დადებითი"
კომისიის/საბჭოს ჩატარების თარიღი: 01.12.2016

კომისიის/საბჭოს დასკვნა - რეკომენდაცია:

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, გაგარინის ქუჩა #10-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.10.18.001.015) ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებაზე.
2. გაეწიოს რეკომენდაცია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერს წარუდგინოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განიხილოს საკთხი ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, გაგარინის ქუჩა #10-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.10.18.001.015) ფუნქციური ზონის სახეობა სატრანსპორტო ზონა 1-ის, საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 3-ით შეცვლის თაობაზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

წერილი № 3002387

გაცემის თარიღი: 16/12/2016 გაცნობის თარიღი: 19/12/2016

განცხადების ნომერი: AR1459581

შემოსვლის თარიღი: 28/11/2016

შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.10.18.001.015
- მისამართი: ქალაქი თბილისი , გაგარინის ქუჩა N 10
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 2079.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "ტეო" (206033585)

ნომენკლატურა :

- **ქალაქგეგმარება**
- **ფუნქციური ზონის ცვლილება**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- პაატა ნუცუბიძე პ/ნ 01005013245
- მისამართი: ქ.თბილისი დ.აღმაშენებლის 195

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

წერილი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური გაეცნო თქვენს AR1459581 განცხადებას, რომლითაც ითხოვთ ფუნქციური ზონის ცვლილებას. პასუხად გაცნობებთ შემდეგს: ვინაიდან თქვენს მიერ, სრულყოფილად იქნა წარმოდგენილი საბჭოს მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია, საკითხი შემდგომი განხილვისთვის წარდგენილი იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე, რომლის საბოლოო გადაწყვეტილების შესახებაც სამსახური გაცნობებთ დამატებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.